საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/72

ქ. ბათუმი 27 ივლისი, 2021 წ.

2021-2022 სასწავლო წელს ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე „განათლების მეცნიერებები“ მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის ლელა თურმანიძის მოხსენებითი ბარათის (MES 6 21 0000734428, 22.07.2021) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. 2021-2022 სასწავლო წელს ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე „განათლების მეცნიერებები“ მისაღები კონტინგენტი განისაზღვროს 3 (სამი) ადგილით.
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. წინამდებარე დადგენილება გადაეგზავნოს შესაბამის ფაკულტეტს, რექტორის მოადგილეებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
4. წინამდებარე დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**